სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები,
ჰუმანიტარულ და სოციალურ-პოლიტიკურ მეცნიერებათა სერია,
Proceedings of Sokhumi State University,
Humanities and Socio-Political Sciences Series, ტომი/ Vol. XX, 2022 წელი

თამილა ზვიადაძე[1]
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

https://doi.org/10.52340/sou.2022.20.06

დარიკო ფიფიას ლექსთა კონცეპტოსფერო[2]

„ვერცხლის მდინარეს გაატანეთ
ქურქები ზღარბის და მზის ოლარი
მოიგდეთ მხარზე!“

აბსტრაქტი. ენის სიმდიდრე განისაზღვრება არა მარტო ლექსიკური მარაგისა და გრამატიკული შესაძლებლობების სიმდიდრით, არამედ კონცეპტოსფეროს მრავალფეროვნებითაც. კონცეპტუალურ სფეროს ქმნის კონცეპტთა, როგორც სემანტიკურ ერთეულთა ერთობლიობა. სწორედ ეს სფერო შეესაბამება მენტალობას, როგორც სამყაროს ხედვის საშუალებას.

ნაშრომში შესწავლილია ქართველი პოეტის დარიკო ფიფიას ლექსები, რომლებიც 2020 წლის კრებულში გამოქვეყნდა. გამორჩეულია ამ ლექსების კონცეპტოსფერო, რომელთაც განსაკუთრებული ლექსთწყობა, ემოციები და გრძნობის ერთიანობა გააჩნიათ. კონცეპტთა კვლევა იძლევა ადამიანის მენტალური სამყაროს გააზრების საშუალებას. დარიკო ფიფიას ლექსებში ჭარბობს კონცეპტი „მზე“, რომელიც მთავარი აზრის გამოხატვის ფუნქციით დატვირთული სიტყვაა. ლექსების კრებულსაც „ორი მზე“ ჰქვია და მასში დომინანტია მზე, რომელიც ერთ - ერთი უნივერსალური სახე და სიმბოლოა მარადისობისა. მზის სიმბოლო დარიკო ფიფიას შემოქმედებაში უამრავ კონოტაციურ მნიშვნელობას აჩენს, მათ შორის ბიბლიურს, არქეტიპულს, მითოსურს, ასტრონომიულს, პოეტურს.

---

[1] **თამილა ზვიადაძე**, ფილოლოგიის დოქტორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი.

[2] მოხსენება წარმოდგენილი იყო სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებულ მეორე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე *„აფხაზეთის კულტურული ფასეულობანი: ენა, ლიტერატურა, ისტორია, სოციალური მეცნიერებანი, კულტურის ძეგლები“*, რომელიც აკადემიკოს მარიამ ლორთქიფანიძის დაბადებიდან 100 წლისთავს მიეძღვნა 2022 წლის 8-9 დეკემბერს.

საკვანძო სიტყვები: დარიკო ფიფია, შემოქმედება, ლექსები, კონცეპტოს-ფერო, „მზე“, მარადისობის სიმბოლო.

Tamila Zviadadze[3]

Conceptosphere of Dariko Pipia's Poems[4]

Abstract. The richness of a language is defined not only by its extensive vocabulary and grammatical capabilities but also by the diversity of its conceptual sphere. The conceptual sphere is formed by the set of concepts, which function as semantic units. This sphere corresponds to the mentality, which reflects a way of perceiving the world.

This paper examines the poems of the Georgian poet Dariko Phiphia, published in her 2020 collection. The conceptual sphere of these poems stands out, characterized by unique poetic structure, emotions, and the unity of feeling. The study of concepts provides insight into a person's mental world. In Dariko Phiphia’s poems, the concept of "the sun" frequently appears, functioning as a key element in expressing the central idea. The collection is titled *Two Suns*, where the sun dominates as a universal image and symbol of eternity. In Phiphia's work, the symbol of the sun carries numerous connotative meanings, including biblical, archetypal, mythological, astronomical, and poetic interpretations.

Key words: Dariko Phiphia, Creation poems, conceptual sphere, "the sun", symbol of eternity.

ძირითადი კვლევა. ლექსთწყობა განსაკუთრებული ხელოვნებაა. სიტყვები, რომლებიც ჩვეულებრივ ცხოვრებისეულ ურთიერთობაში გამოიყენება მხოლოდ აზრის გამომხატველ ნიშნებად, ლექსში აზრისა და გრძნობის ერთიანობას უკავშირდება, კონცეპტებად წარმოგვიდგება და საუკეთესოდ წარმოაჩენს სიტყვის სემანტიკურ-კონოტაციურ პოტენციალს. მნიშვნელობათა დასადგენად საჭირო ხდება იმის გარკვევა, „როგორ იყენებენ სიტყვას, როგორი ასოციაციებია დაკავშირებული ამ სიტყვით გამოხატულ ცნებასთან, როგორი იყო მისი არქეტიპული მნიშვნელობა, როგორ გამოიხატება მყარ შე-

[3] **Tamila Zviadadze,** Doctor of Philology, Associate Professor of Sokhumi State University.

[4] The report was presented at the second international scientific conference "*Cultural Values of Abkhazia: Language, Literature, History, Social Sciences, Cultural Monuments*" organized by Sokhumi State University and the Korneli Kekelidze National Center for Manuscripts of Georgia, which was dedicated to the 100th anniversary of the birth of academician Mariam Lortkifanidze on 8-8-2022. on December 9.

სიტყვებებსა და ფრაზეოლოგიზმებში, აგრეთვე ლიტერატურასა და სასაუბრო მეტყველებაში“ (ბარბაქაძე,2014);

ორიგინალურია დარიკო ფიფიას ლექსთა კონცეპტოსფერო. დომინანტია *მზე* - ერთ-ერთი უნივერსალური სახე - სიმბოლო, რომელიც უამრავ კონოტაციურ მნიშვნელობას აჩენს, მათ შორის - პოეტურს... შემოქმედისათვის მზე მარადიული მეტაფორაა, რასაც ადასტურებს მისი ერთ-ერთი კრებულის სათაურიც - „ორი მზე“. მარინა ცვეტაევას თუ დავესესხებით, ერთი მზე ცაზე ანთია, მეორე-მკერდში.„მზე პოეტის ნააზრევში წარმოდგენილია მთელი რიგი ენობრივი სინონიმებით, თემატური ველებით, ქცევის სტერეოტიპებით:

1.მთავარი აზრის გამოხატვის ფუნქციით დატვირთული სიტყვა „მზე“ სხვადასხვა ფორმით გამოიყენება. ყურადღება ექცევა ბგერადობას. ერთმანეთს ერწყმება ლექსიკური ერთეულის ფონეტიკური და აზრობრივი მხარე: „*მზე*სუმზირები *მზეს* უ*მზე*რენ კვლავაც სარკმლიდან, *მზ*ისფერ თვალებში *მზ*ის ტკივილმა დაისადგურა“; „*მზ*ებიჭუნა *მზ*ეს ეჯიბრება“; „*მზით* სავსე სახლთან ჭას ჩასცქერის ბრდღვიალა მთვარე... *მზით* სავსე სახლის ღობეც თითქოს *მზის* სხივით დაწნეს... დილა *მზის*ფერი სახლის *მზის*ფერ ღობეზე პატარძლის წმინდა აბრეშუმის კაბასავით გაეფინება“;

2.*მზე,* როგორც სასიცოცხლო ენერგიის წყარო, პერსონიფიცირებულია - მისთვის ყველაფერი ადამიანური ნაცნობი და მისაღებია: „მზე ფეხადგმული მობრძანდება ოქროს ქოშებით“; *მზის* პერსონიფიკაციას იწვევს მსაზღვრელის სემანტიკაც: „ცაზე დამწიფებული *მზე*“, „მწიფე ფორთოხლისფრად შე-ღებილი მზე“, „თაფლისფერი მზე“, „მარჯნის მზე“, „გულდანაღმული მზე“, „ფეხმძიმე მზე“, „გულდაძარღვული მზე“, „მეწამული მზე“, „მზე გარდასული“, „თივის ზვინისხელა მზე“, „მზე ფერწასული“...

თვალსაჩინოება მიღწეულია ასევე განსაზღვრებითი და ვითარების გარემოებითი დამოკიდებული წინადადებებითაც, რომლებიც ორიგინალურ შედარებებს ქმნიან: „მზე ისე წითლად და ელავდა და ანათებდა, როგორც ტიციანის მკერდიდან მიმოგლეჯილი მიხაკი“; „მზე ისე გორავდა ცის უსასრულო კაბადონზე, როგორც მაგიდის გულზე დაგორებული სააღდგომო წითელი კვერცხი“; „მზე ისე გვწვავდა და გვრუჯავდა, რიგორც დაუწერელი და დაწერილი ლექსი“...

3.სიტყვა ასოციაციურ კავშირშია სხვა სიტყვებსა და ლექსიკურ-სემანტიკურ ჯგუფებთან. პოეტის ნააზრევში მზეა. *სიტყვა:* „და გეტყვი, სიტყვავ, ცა ხარ და მზე ხარ! და გეტყვი *სიტყვავ, მზე ხარ* და ცა ხარ!“ (ფიფია, 2020: 117); „მალე, მალე მოადგება ბაქანს ვაგონი, სავსე მზისფერი სიტყვებით“;

სიტყვა მზისფერია, როცა მართალია, სუფთა, შეუბილწველი: „ამ ლაბირინთში არ დაგკარგო სიტყვავ, მზისფერო, ბაგეს ვარდივით დაკონილო, შეუბილწველო“; *მანდილი:*„ოქროს ჩიტებით მოჩითული ფიქრის სამოსი, თავზე მანდილი-დაფენილი მზის ათინათი“; *ფეხმძიმე ქალი:* „ახლა ყველაზე

ლამაზი გაზაფხული მიდგას შენით... ამ დროს ქალი მზეა, მზე ყველაზე სავსე და ბრიალა"; *გული:* „გული-თიბათვის მზესავით თბილი და სავსე, ისე ეჭირა ხელში, როგორც დამსკდარი ბროწეულები". ...და სხვა.

კონცეპტი, როგორც მენტალური კატეგორია, სინამდვილის მოვლენებსა და მათ შორის კავშირებს ასახავს განზოგადებული ფორმით, ზოგადი და სპეციფიკური ნიშნების ფიქსაციის მეშვეობით. სტატიაში გაანალიზდება კონცეპტთა სხვა ფორმებიც (ლექსი, გზა, გაზაფხული...), რომლებიც მრავალფეროვანი პოეტური ფუნქციითა და მეტაფორაციის სხვადასხვა ხარისხით წარმოჩნდება დარიკო ფიფიას ლექსებში.

ენის სიმდიდრე განისაზღვრება არა მარტო ლექსიკური მარაგისა და გრამატიკული შესაძლებლობების ნაირგვარობით, არამედ კონცეპტოსფეროს მრავალფეროვნებითაც, რასაც ქმნის სემანტიკურ ერთეულთა ერთობლიობა. კონცეპტი განიხილება, „როგორც ენისა და აზროვნების დამაკავშირებელი რგოლი, როგორც ცნობიერების ერთეული და ადამიანის გამოცდილების ინფორმაციული სტრუქტურა" (კუბრიაკოვა, 1995: 115); მწერლის ენა კომპლექსური მხატვრული ქსოვილია, რომლის კომპონენტთა ფუნქციური ღირებულება ესთეტიკური ეფექტის შექმნის აუცილებლობით არის განსაზღვრული. ლექსთწყობა განსაკუთრებული ხელოვნებაა. პოეტური ენა შემოქმედებითი ენაა, „პოეტური სილამაზე ყოველთვის ენის შინაგან შესაძლებლობათა ამოშუქებით მიიღწევა" (ჯორბენაძე, 1999: 37);

შემოქმედი დედაენის საფუძველზე ქმნის ახალ ენობრივ სამყაროს. სიტყვები, რომლებიც ჩვეულებრივ ცხოვრებისეულ ურთიერთობაში გამოიყენება მხოლოდ აზრის გამომხატველ ნიშნებად, ლექსში აზრისა და გრძნობის ერთიანობას უკავშირდება, კონცეპტებად წარმოგვიდგება და საუკეთესოდ წარმოაჩენს სიტყვის სემანტიკურ-კონოტაციურ პოტენციალს. მნიშვნელობათა დასადგენად საჭირო ხდება იმის გარკვევა, „როგორი ასოციაციებია დაკავშირებული ამ სიტყვით გამოხატულ ცნებასთან, როგორი იყო მისი არქეტიპული მნიშვნელობა, როგორ გამოიხატება მყარ შესიტყვებებში - ფრაზეოლოგიზმებში, ზოგადად ლიტერატურაში" (ბარბაქაძე, 2014).

გამორჩეულია პოეტის როლი სინამდვილის კონცეპტუალური შემეცნების პროცესში. ცოდნის სტრუქტურა, რომელიც ენაში ვლინდება და საზიაროა კონკრეტული ენობრივი კოლექტივის თითქმის ყველა წევრისათვის, შემოქმედისათვის გამოცდილების, სამყაროს გააზრების, მოვლენათა შეფასების საშუალებას წარმოადგენს. დარიკო ფიფიას ლექსებში ქართულ პოეზიაში საკმაოდ ხშირად გამოყენებული და კონცეპტებად გააზრებული არაერთი სიტყვა ჩნდება: მზე, ზღვა და ქარი, ცა, მთა თუ გზა...:

„ერთად ვიფიქროთ, ერთად ვწეროთ ლექსები *მთებზე,*

ზღვის ხომალდებზე, *ცის* მნათობებზე... ოქროვან *გზებზე*...
ცაზე ბურთივით დაკიდებულ *მზეზე*“ (ფიფია, 2020: 149);

ეს ლექსიკური ერთეულები პოეტური მეტყველების ატრიბუტებია და მათ გარკვეული საზრისის წარმოჩენა აქვთ დაკისრებული. დარიკო ფიფიას ლექსებში ამ ლექსიკურ ერთეულთა ნაცნობი სემანტიკაც გვხვდება და განსხვავებულიც. დომინანტია *მზე* - ერთ–ერთი უნივერსალური სახე -სიმბოლო, რომელიც უამრავ კონოტაციურ მნიშვნელობას აჩენს, მათ შორის ბიბლიურს, არქეტიპულს, მითოსურს, ასტრონომიულს, პოეტურს.

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით, მზე „ჩვენი საპლანეტო სისტემის ცენტრალური მნათობია - 1) ბურთის მოყვანილობის გავარვარებული ცის სხეული, უახლოესი ვარსკვლავი; 2) ამ მნათობის სხივი, სინათლე, სითბო, მხურვალება (ქეგლ); ეს სიტყვის სალექსიკონო მნიშვნელობაა, რომელიც შეიძლება შეიცვალოს კულტურული, ისტორიული, ფსიქოლოგიური, შიდასისტემური და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით. გადატანითი მნიშვნელობა დამოუკიდებელი არ არის, მოტივირებულია პირდაპირი მნიშვნელობით. სიტყვის სემანტიკა შეიძლება განსხვავდებოდეს ამოსავალი მნიშვნელობისაგან, მაგრამ ლოგიკურ - ასოციაციური კავშირი მათ შორის, რა თქმა უნდა, არსებობს.

შემოქმედისათვის მზე მარადიული მეტაფორაა. იგი სიყვარულის, სითბოს ასოციაციას იწვევს, რაც ბედნიერების შეგრძნებას აძლიერებს. მზე სიცოცხლის წყაროა. ამ შინაარსის გამოხატულებაა დარიკო ფიფიას ლექსთა კრებულის სათაურიც: *„ორი მზე“ - ერთი მზე ცაზე ანთია, მეორე - პოეტის გულში:* „ყოველთვის მიყვარდა წერა მზეზე...
ყოველთვის და ყველგან ვიპოვი მას,
ცასა და დედამიწას შუა,
რადგან მე მზე მიყვარს და
მას ყოველთვის გულით ვატარებ!“ (ფიფია, 2020: 13);

დარიკო ფიფიას წარმოდგენით, „ტრფობით სავსე პოეტები“ სწორედ მზისკენ ისწრაფვიან: „ნეტა სად მიდიან ტრფობით სავსე *პოეტები,* რატომ ეფარებიან თვალებს?! .. /იქნებ *მზეში სახლდებიან* და ათბობენ მცივან სამყაროს, ალღობენ ყინულებს!“ / და „თიბათვის *მზის სადარი* ცხელი გულებით შვიდგზის ლოცვას აღუვლე(ნენ) *უფალს*“.
და მერე? ... მერე თავადაც მზედ იქცევიან, ისე როგორც ანა -*„განფენილი მზეში სინათლე!“*: „ახლოა იქვე *ანა* და *მზეა, მზეთა დარი“*...

როგორც გალაკტიონი იტყოდა, „განა არა ჰგავს მგოსანი მზეს: მხოლოდ ის სწვდება ყველგან: ქოხებსა და სასაახლეებში, სალხინოებსა და ტა-

ძრებში... ყოველთვის ბრწყინვალე, ყოველთვის ღვთაებრივი, განურჩევლად ისვრის ის თავის სხივებს ყველგან“ (ჯორბენაძე, 1999);

მზე დარიკო ფიფიასათვის სიტყვიერი ფორმაა სულიერი საზრისისათვის. უმზეოდ ლექსი არ ეწერება: „თუ წამერთვა ფერი იელის... *მზეს ვეღარ მივწვდები,* ვერც ბროლის თითებს ხელისგულით ვეღარ გავათბობ“; „არ მომიშალო ოქროს ბუდე - ზეცის სიმაღლე, მეც ალაგ-ალაგ *ლექსს ჩიტივით აგიფრიალებ“.*

მზის სიყვარული პოეტმა დედისგან ისწავლა:

„ფერადი კაბები შემოდგომის ნაგვიანებმა მზემ გაახუნა
და თეთრი ხელებიც მზემ გარუჯა...
მზე მაინც გიყვარს!
მეც მაზიარე მზის სიყვარულს და მთვარის დარდებს...
მზე მაინც გიყვარს,
რადგან თვალებში მზის ნათელი გიდგას“ (ფიფია, 2020: 16);

მზეს უკავშირებს პოეტი ბავშვობის სიყვარულს: „კვლავაც ვიგონებ, მიმოზის ტყეს როგორ ვხატავდით და *მზეს რარიგად ვაგორებდით ხელიდან ხელში“* (104); მზე არის მისი პოეტური ნიჭის მასაზრდოებელი: „მახსოვს სიმაღლე გვწადდა ოდენ ტანსრულ მუხების,/*მზესთან, მზის ახლოს,* სხვაგან არსად, არსად სრულებით“(ფიფია, 2020: 212);

სიტყვა„მზე“ დარიკო ფიფიას ლექსებში წარმოდგენილია მთელი რიგი ენობრივი სინონიმებით, თემატური ველებით, ქცევის სტერეოტიპებით. იგი ასოციაციურ კავშირშია სხვა სიტყვებსა თუ ლექსიკურ-სემანტიკურ ჯგუფებთან. მზეა: *სიტყვა* - „და გეტყვი *სიტყვავ, მზე ხარ* და ცა ხარ!“ (117); „მალე, მალე მოადგება ბაქანს ვაგონი, სავსე *მზისფერი სიტყვებით“;*

მზისფერია სიტყვა, როცა მართალია, სუფთა და გულწრფელი:

„ამ ლაბირინთში არ დაგკარგო *სიტყვავ, მზისფერო,*
ბაგეს ვარდივით დაკონილო, შეუბილწველო“;

მზის სხივი დაჰკრავს *მანდილსაც:* „მანდილი-დაფენილი მზის ათინათი“; მზეა *ფეხმძიმე ქალი* **-** „მზე ყველაზე სავსე და ბრიალა“; *გული* „თიბათვის მზესავით თბილია და სავსე“; მზესთან ასოცირდება *მშვიდობა*: „ენატრებათ ადამიანებს მზე და თავიანთი სახლის თაფლისფერი კედლები“. *მშობლიური ქალაქი,* რომელიც ელის, წარსულს ახსენებს, ფიქრს უფორიაქებს:- *„მზე* აქეთ-იქით *დააგორებს ხანგრძლივ მოლოდინს“,* „ცა კვლავ შორია, *მზე ისევ გორავს გარუჯული ფიქრის უბეში“.* მზის თვალები აქვს *გვირილებს:* „მე გპირდებოდით *მზისთვალება* თმათეთრ გვირილებს“ (ფიფია, 2020: 131); მზისფერია *ოცნება* - „მერე მზისფერი ოცნებები ერთად აკინძა“; მზეა „დედის დავერცხლილ თმებში“, „შვილის თვალებში სამყაროზე დიდი მზეა“, ბე-

ბოც „მზისფერი სახით“ გამოდის სახლიდან....და მზეს სალამს უძღვნის“ (ფიფია, 2020: 89); მზე საგალობელს უმღერის სვანის გოგოს, რომელიც თავადაც მზეს ჰგავს: „მზემ დაგიწნას ოქროსფერი ნაწნავები, მზემ უბეში ჩაგისვას და გამოგზარდოს....“

„გაზაფხულისფერკაბიანი ქალიც“მანამ„დადის უმისამართოდ“ (უსიყვარულოდ), სანამ „მზე არ დაედევნება“, სანამ მისი „ხელისგულებიდან ფრთებს არ გაშლის ჭიამაია“, რომელსაც „მონატრებია შეხვერა მზესთან!“

„მზე“ სიტყვის გამოყენებისას ყურადღება ექცევა ბგერადობას. ერთმანეთს ერწყმება ლექსიკური ერთეულის ფონეტიკური და აზრობრივი მხარე: „*მზე*სუმზირები *მზეს* უ*მზე*რენ კვლავაც სარკმლიდან, *მზ*ისფერ თვალებში *მზ*ის ტკივილმა დაისადგურა“; „*მზ*ებიჭუნა *მზ*ეს ეჯიბრება“; „*მზით* სავსე სახლის ღობეც თითქოს *მზ*ის სხივით დაწნეს... დილა *მზ*ისფერი სახლის *მზ*ისფერ ღობეზე პარტარძლის წმინდა აბრეშუმის კაბასავით გაეფინება“;

მზე, როგორც სასიცოცხლო ენერგიის წყარო, პერსონიფიცირებულია - მისთვის ყველაფერი ადამიანური ნაცნობი და მისაღებია: „მზე ფეხადგმული მობრძანდება ოქროს ქოშებით“; „მზემ შენი ჭორფლები მოიპარა, სახეზე დაიხატა და ვერცხლის ღრუბლებში გაუჩინარდა“;

სიტყვის პერსონიფიკაციას იწვევს მსაზღვრელის სემანტიკაც. დარიკო ფიფიას ლექსებში გაიელვებს:„ცაზე დამწიფებული მზე“, „მწიფე ფორთო ხლისფრად შეღებილი მზე“,„თაფლისფერი მზე“,„მარჯნის მზე“,„გულდანაღმული მზე“, „ფეხმძიმე მზე“,„გულდაძარღვული მზე“, „მეწამული მზე“, „მზე გარდასული“, „თივის ზვინისხელა მზე“, „მზე ფერწასული“...

თვალსაჩინოება მიღწეულია განსაზღვრებითი და ვითარების გარემოებითი დამოკიდებული წინადადებებითაც, რომლებიც ორიგინალურ შედარებებს ქმნიან: „მზე ისე წითლად ელავდა და ანათებდა, როგორც ტიციანის მკერდიდან მოგლეჯილი მიხაკი“; „მზე ისე გორავდა ცის უსასრულო კაბადონზე, როგორც მაგიდის გულზე დაგორებული სააღდგომო წითელი კვერცხი“; „მზე ისე გვწვავდა და გვრუჯავდა, როგორც დაუწერელი და დაწერილი ლექსი“, „ისე ვრცელი იყო სამყარო, თითქოს ასი მზე ცაზე ოქროს ძაფით ეკიდა“, „ბებოს მოქსოვილ კაშნე... ისე ათბობს კეფას, როგორც გაზაფხულის მზე ფოთოლქვეშ დამალულ უმწიფარ ალუბალს“...

„როგორც“ კავშირიანი წინადადებათა კონსტრუქციები უფრო იგივეობას გამოხატავენ, ვიდრე - უბრალოდ მსგავსებას და როცა შინაარსობრივად დაშორებული კომპონენტებია შედარების ობიექტები, რა თქმა უნდა, ექსპრესიულობა მატულობს.

პოეზია თვითგამოხატვის საშუალებაა და საკუთარი ემოციების, განცდების სხვებისთვის გაზიარებას გულისხმობს. კონცეპტი, როგორც მენტა-

ლური კატეგორია, სინამდვილის მოვლენებსა და მათ შორის კავშირებს ასახავს განზოგადებული ფორმით, ზოგადი და სპეციფიკური ნიშნების ფიქსაციის მეშვეობით. პოეტი სამყაროს მეტაფორული აღქმით გამოირჩევა და საგნები თუ მოვლენები მის ნააზრევში სიმბოლურ მნიშვნელობებს იძენს. აქტუალიზებული სახე-სიმბოლოა *„ზღვა“,* რომელიც დარიკო ფიფიას ლექსებში ასოცირდება ხან სიმშვიდესთან, იდუმალებასთან... ხანაც მონატრებასთან. ზღვა დანაკარგის, სიცარიელის, მწუხარების სიმბოლოცაა, რადგან დატოვებულ მშობლიურ ქალაქს უკავშირდება:

„გიყურებ, ვხედავ, შენ გული გითრთის,
ახლოა ზღვა და ენგურის ხიდიც“ (ფიფია, 2020: 40);
„ამბობენ, მოუთოვია იმ *მოლურჯო ზღვასთან*
ეძებ, ეძებ იმ ფერებს, მაგრამ არსად არ ჩანს...“ (ფიფია, 2020: 80);
იქ „გულწითელა ჩიტი მზეზე ვეღარ თბება“...
„დაესვენება *ზღვის* ბრტყელ *ფსკერზე*
ათასი განცდა -
სიხარული, ტკივილი, ფიქრი“ (ფიფია, 2020: 103);

პოეტი ცდილობს, „ის სამყარო შექმნას, ოდესღაც რომ ჰქონდა“, „ხელისგულებით გაათბოს ქვადქცეული ნივთები“, რომელთაგან „ზოგს ლურჯი ზეცის ფერი დაკრავს, ზოგსაც ბავშვობის მოგონებაში ჩაძირული *შავი ზღვის ფერი“* (ფიფია, 2020: 24);

მრავალფეროვანი პოეტური ფუნქციით წარმოჩნდება დარიკო ფიფიას ლექსებში კონცეპტი *„მთა“.* მთის ცნობილი კონოტაციები - უფალთან მიახლოება („ვინ ავიდეს მთასა უფლისასა...“), მთა - მარიამ ღვთისმშობელი („უბიწო სძალი, მთა საცნაური“)... პოეტისათვის, რა თქმა უნდა, ნაცნობია და გადააზრებულიც, დარიკო ფიფიას მთაც წმინდაა, რადგან *„მზის შუქი“* - ღვთიური სინათლე მოჰფენია:

„*მთაზე* დავრჩეთ ეს საუკუნე, რაკი მზის შუქი მოჰფენია...
მთაზე დავრჩეთ, რაკი ინათა“ (ფიფია, 2020: 154);

მსაზღვრელი, რომელიც ახლავს „მთას“, ქმნის კონცეპტის ახალ მნიშვნელობას - ეს „იაგუნდის მთაა“, სადაც უნდა ედგას პოეტს „ოქროსწნულებშემოვლებული ქოხი-სასახლე, მზის ფერებით სავსე“ და აქ უნდა დარჩეს, რადგან აქ სიყვარულია;

მთის სიდიადე, იდუმალება თუ უამრავი ფერი მას მხატვრის ფერწერულ ტილოს აგონებს: როცა მზე ჩადის, „მე ვიყურები ფანჯრიდან და ვიხსენებ ფრანგ იმპრესიონისტებს,

ფერადი ფუნჯებით...
ისინი დახატავდნენ ამ სივრცეს და

ნახატს დაარქმევდნენ *მთის იმპრესიას“* (ფიფია, 2020: 26);

ზოგადად ავტორი არაერთ ლიტერატურულ თუ ფერწერულ ნაწარმოებთან ხილული თუ უხილავი კავშირებით უფრო ღრმად გვააზრებინებს ხოლმე საკუთარ განცდებს:„ისეთი ყვითელია ბათუმში შემოდგომა, თითქოს *ბოტიჩელმა* ჩამოიარა თავისი ფუნჯით“; „მზეს ისე კრძალვით შემოუკრავს სამოსი ნისლის, *მონეს ნახატი სარკმელს მიღმა დაჰკიდეს* თითქოს“ (ფიფია, 2020: 221); „მზეს ისე თბილი ჰქონდა თვალები, როგორც *ვან გოგის მზესუმზირებს ოქროს ლარნაკში“*... ამ ასოციაციური კავშირების ჩვენების უნივერსალური ფორმა ხატოვანი შედარებებიაა, რომელთა საშუალებით ენაში მოცემულ ინფორმაციას, რეალურ ვითარებას ექსპრესიულ-ემოციური ელფერი ენიჭება. შედარებები ხშირად მოულოდნელია და ორიგინალური, რეალიზებულია სხვადასხვა სტრუქტურული ელემენტით, გამორჩეულია - ვით თანდებულიანი კონსტრუქციები:

„დგას თოვლის ბაღში მომლოდინე ქალივით ნუში, დარიანივით მოხვევია წყებად მძივები“ (ფიფია, 2020: 139); „ოქროსფრთება მოგონებებს ჩიტებივით მალავ უბეში“ (ფიფია, 2020: 144); „ოცნებები, ვით უდაბნოს თეთრი კრავები“ (ფიფია, 2020: 146); „დღე, რომელიც ასე დამოკლდა, ნისლოვან ცაზე ჰკიდია და ჭრიალა საქანელასავით ქანაობს“ (ფიფია, 2020: 170); „დეკემბრის დილა კურდღელივით ფხიზლობდა ქოხში“ (ფიფია, 2020: 119); „ფიქრის მთასავით ასვეტილი იდგა კარიპჭე“ (ფიფია, 2020: 136); „ოცნება ბროწეულივით დახლეჩილი სახით იყურება“ (ფიფია, 2020: 27); „ქვაზე დახეთქილ რკოს ქუდივით გახურავს დარდი“ (219); „დეკემბერი იზმორება თოთო ბავშვივით და საბადურის ტყეში მალე თვალებს აახელს“ (ფიფია, 2020: 29); „მარტოობა, ნაბიჯ-ნაბიჯ ადევნებული, შენც აბრეშუმის ჭიასავით შემოიქსოვე“ (ფიფია, 2020: 225);

პოეტისათვის პოეზია ცაში ფრენაა, „ცა-პოეტების დარდის ფიალა“, „ლექსი - ფრთები, საფრენი ცისკენ“, ცაში ფრენას კი ასწავლის *დეგას მოცეკვავე ქალი* (ფიფია, 2020: 61). დეგა მოძრაობის გადმოცემის დიდოტატია, საოცარი ფერების შემოქმედი. შთამბეჭდავია მის ტილოებზე აღბეჭდილი სამყარო, პოეტის აღმაფრენას დეგას „ცისფერი მოცეკვავეები“ იწვევს და თითქოს ცად აჭრის ძალასაც აძლევს და ... როცა „გვირილებდაფენილი საბნიდან თავს ამოყოფს და ღამის სიზმარს პერანგივით დააგდებს ოთახში“, „ყუჩად შეაფარებს თავს მისი ოთახის ყველაზე ტკბილ სტუმრებს“, მათ შორის „ფრთებგაშლილი ფრენს დეგას მოცეკვავე ქალი“. ამ დროს პოეტის შთაგონება წვდება „ცას - ფიქრთა საუფლოს“ და მსუბუქდება „ლექსი - ფრთები საფრენი ცისკენ“! სამყარო ივსება პოეზიით და „ჭერზე, კედლებზე, იატაკზე გა-

მართავენ ჯირითს ბგერები-ხმოვნები / და თანხმოვნები,/ თანხმოვნები და ხმოვნები ფოთლებივით აირევიან ერთმანეთში და ფრთებს ვინატრებთ, ავედევნები თანხმოვნებს და ხმოვნებს დილამდე!“ (ფიფია, 2020: 173);
და თუ „ცა დანაოჭდა, აბრეშუმის ზეწრად გაშლილი... მაშინ ეჩვენება, რომ ცას შორდება და „ოქროს ძაფებით რითმის ქსოვას აღარ მოელის“, და კვლავ მოდის ძვირფასი ხატება: „ცურავს ნისლებში ვან დეიკი,

ცურავს გოგენი...

და ფიროსმანის პროფილს იგონებს“ (ფიფია, 2020: 195);

კონცეპტუალური სისტემა მეტაფორული ხასიათისაა და რადგან მეტაფორა ლინგვო-სტილისტიკური ფენომენია, სიტყვიერი აზროვნების პროდუქტი, სწორედ ენის საშუალებით ხორციელდება პოეტის ცნობიერებისა და მენტალობის ჩვენება. შემოქმედი აყალიბებს სამყაროს მისეულ მეტაფორულ სურათს. საგანსა თუ მოვლენას ეძლევა ფიგურალური გრძნობა და იქმნება ისეთი პოეტური სტრიქონები, როგორიცა:

„ნისლი-სიზმარი ხეთა“ (ფიფია, 2020: 137); „სული - გათელილი თოვლის ყვავილი“ (ფიფია, 2020: 141); „ოქტომბერი - ოქროს ფრთებით გაწოლილი გზაზე“; „ზურმუხტის ნისლში პალმების სევდა“ (ფიფია, 2020: 51); „ჩიტისგულა ჩუმი ლექსები“ (ფიფია, 2020: 142); „ცა-პოეტების დარდის ფიალა“, „მანდილი - ოქროს ჩიტებით მოჩითული ფიქრის სამოსი“; „ლექსი - ფრთები, საფრენი ცისკენ“; „ზაფხულის გედისყელიანი დილა“; „ფიქრებშესრუტული ოთახის კედლები (ფიფია, 2020: 24); „თოვლი - დაღლილი სევდა“ (ფიფია, 2020: 119); „მიწიდან აყვავებული სისხლისფერი ომი“ (ფიფია, 2020: 176); ,,თეთრ როიალზე დარჩენილი ზამთრის თითები“ (ფიფია, 2020: 13); „ხელისგულიდან აფრენილი ჭიამაია, საზაფხულო კაბას რომ იკერავს“ (ფიფია, 2020: 33); „ალუბლის რტოზე დაძინებული გაზაფხული“ (ფიფია, 2020: 199);

საინტერესო აზრობრივ დატვირთვას იძენს დარიკო ფიფიას ლექსებში სიტყვა „ქარი“. სალექსიკონო მნიშვნელობით, ქარი ჰაერის ძლიერი მოძრაობაა (ქეგლ). სწორედ ესაა კონცეპტის ძირითადი მახასიათებელი. სიღრმისეული საწყისი, რომელიც პოტენციურად არსებობს ამ სიტყვის მნიშვნელობაში, როგორც შინაარსის ელემენტი, გულისხმობს მხატვრულ-ასოციაციურ სახეს: ბუნების მოვლენას, რომელიც დაჰქროლებს და წაიღებს, წაშლის ყველაფერს. დარიკო ფიფია ამ მნიშვნელობას ააქტიურებს:

„შენ ისევ მხევლად უნდა დადგე მცხეთასთან ახლოს,

ვნების დღეები გაატანო ქარებს და წვიმას“ (ფიფია, 2020: 84);

„ქარებს გავატანე ყველა თილისმა და ხელში შემრჩა მარჯნისფერი მთვარის ნატეხი“ (ფიფია, 2020: 93); *„ქარს მიაქვს ფრთები,* აკაციის რტოების მსგავსი“

(ფიფია, 2020: 178); „ის სამყარო ... შენი იყო და *ქარბორბალამ* სადღაც *უდაბნო მხარეს წააქროლა“* (ფიფია, 2020: 24);

ქარის საშუალებით გადმოიცემა სივრცით-დროითი შეგრძნებები, ადამიანის შინაგანი შფოთვა. ქარის უნარი, თან გაიყოლოს რაღაცა და იმ რაღაცასთან გაქრეს, აჩენს პროტესტის შეგრძნებას.

„არ ჩამიქროლოთ ამრეზილად *თეთრო ქარებო,*
არ ამაგლიჯოთ ყელიდან მძივი“ (ფიფია, 2020: 172);
„კაბებს გავძარცვავ მძივებისაგან,
ვით *ქარი* ატმის რტოს გვიან გაზაფხულზე“ (ფიფია, 2020: 127);
„მე სველ ნიჟარებს ფოთლებივით ვიკრავდი ტანზე.
რა მექნა? *ქარებს დაეგლიჯათ* სამოსი ლურჯი“ (ფიფია, 2020: 54);

ქარის განსხვავებული კონოტაცია შემოაქვს პოეტს, როცა მას შემოქმედებით ძალას უკავშირებს. ქარი აძლევს ძალას პოეტს, შექმნას ლექსი:

„ფერთა ქარი მწერვალებს ასწვდა,
შიგ ჩიტებივით აშრიალდნენ ჭრელი რითმები“ (ფიფია, 2020: 174);
„ახლა ცამდე მანძილია შორი,
ფრთებს ისწორებ გაზაფხულის დარად,
ეზიდები რითმებიან ხურჯინს
და ჯვარს იწერ გაზაფხულის ქართან“ (ფიფია, 2020: 67);

ქარის ხმიანობა, გამოხატული სხვადასხვა ლექსემით, ნეიტრალური ნამდვილად არ არის, გარვეული ექსპრესიულობა ახლავს, აშკარად სუბიექტური აღქმისა თუ სიტყვის სემანტიკის მხატვრულობით დატვირთვის ნიმუშია: სული ფორიაქობს, „როცა ქარები გამართავენ ქუჩებში ჯირითს“; სული გლოვობს, როცა „მცხეთის ტაძართან გარითმულად კვნესენ ქარები“ (ფიფია, 2020: 84); გაზაფხულს მოელი, როცა „ქარს დარახტული უდგას მარმარილოს ეტლი“ (ფიფია, 2020: 188); ქართან ასოცირდება მოსალოდნელი საფრთხით გამოწვეული განცდაც: *„ქარი ხორშაკი,* რვალზე ბრუნავს და არ ცხრება“ (ფიფია,2020: 196); *„ავი ქარების* გადამკიდე ახლაც ვქანაობ“ (ფიფია, 2020: 200);

ქარი ასოცირდება მრისხანებასთან, უსამართლობასთან, სიავესთან, რომელსაც ემიჯნება პოეტი: „არაფერია, ეს ქარბუქიც დაიკრეფს ხელებს, ძუნწი ღიმილით ჩაივლიან სახლთან *ქარები“* (ფიფია, 2020: 211);

„ქარის“ ეპითეტთა ფართო ველში გვხვდება ისეთი სემანტიკის მსაზღვრელები, რომლებიც საზღვრულის გასულიერებას იწვევენ და საკმაოდ ორიგინალურ ხატებს ქმნიან. დარიკო ფიფიას ლექსებში ხმიანდებიან „ბურატინოსავით ცხვირწაგრძელებული ქარები“ (ფიფია, 2020: 14); „სისხლის მწიფე უჯრედების წითელი ქარი, ასე ურცხვად რომ ტოვებს ანაბეჭდს“, თეთრი ქარები, ავი ქარები...

„ქარი, როგორც ადამიანის გარემომცველი სინამდვილის მოვლენა, შედის მის ცნობიერებაში და იქ გარდატეხის შედეგად იძენს რთულ კონცეპ-ტუალურ მეტაფორათა მნიშვნელობებს. ქართულ დისკურსში შემუშავებუ-ლია ქარის ღრმად პოეტური, ესთეტიკური ფილოსოფია. ყოველივე ამის ერ-თობლიობა ქმნის კონცეპტს, რომელსაც ერის სულიერი სახის ანაბეჭდი აქვს“ (ომიაძე, 2006: 129);

პოეტის ენა მდიდარია ასევე კონცეპტ *„გზის“* არაერთგვაროვანი აღქ-მითა და ემოციური განცდით. გზა ბევრნაირია - „მუხის ძარღვივით ეხლარ-თება ერთმანეთს *გზები“* (ფიფია,2020: 125). ისინი წარმართავენ ადამიანის ხორციელ თუ სულიერ განვითარებას. გააჩნია, რომელს აირჩევ:

„გზათა იქით გზა იწყება, სხვათა სავალი...
არის წაწყმედა და ცხონებაც არის უთუოდ,
არის ხელმარჯნივ ერთგულება,
მარცხნივ - ღალატი“ (ფიფია, 2020: 107);

პოეტის გზა, რა თქმა უნდა, ხელმარჯვნივ უხვევს, ეს მართალის გზაა, უფრო მეტიც -ხელოვანის გზაა, „გზა შეშლილთა“:

„არის ტეხილი უსასრულო *გზები შეშლილთა*
და ხელოვნება აღმართულა სულში სვეტებად“.

პოეტურ მეტყველებაში მიმდინარეობს ლექსიკის სემანტიკური ცვა-ლებადობის პროცესი და სიტყვის კონცეპტუალური ველი საინტერესო ვარია-ნტებს გვთავაზობს. ლექსემა „გზა“ შესაბამისი ატრიბუტიკით იტვირთება - გადატანითი მნიშვნელობით ასოცირდება როგორც მიმართულებასთან, ასე-ვე ცხოვრებასთან, ბედთან. პოეტის მიერ შერჩეული ატრიბუტები სულ სხვა მნიშვნელობებს ააქტიურებენ:

„გამოვიარე უქალამნოდ ცეცხლის ველები,
ცეცხლის გზები და ალმოსხმული მაინც მოვედი“ (ფიფია, 2020: 135);
„ისე თეთრი ხარ, *თოვლის გზები* გათელე იქნებ, ლეგენდებიდან გამოგრიყეს იქნებ ჟამებმა“ (ფიფია, 2020: 120); „ყველა *ბნელ გზაზე* ხან მარჯნის მზე ჰკი-დია, ხანაც - საფირონის მთვარე“ (15); „გმირობა *უფლის გზაა,* გმირობა დი-დებული რამაა, ბერო!“ (ფიფია, 2020: 163); „გამიხდება თეთრი კაბა ღამის-ფერად, სად ვეძებო *მორჩილების გზა“* (ფიფია, 2020: 122); *„ოქროვანი გზა“* (ფიფია, 2020: 149)... ბავშვობის გზები კი დარიკო ფიფიასათვის *„რძისსურნე-ლმორეული ბილიკებია“* (ფიფია, 2020: 192);

კონცეპტთა კვლევა იძლევა ადამიანის მენტალური სამყაროს გააზ-რების საშუალებას. „კონცეპტი მოცემულია არა ენაში, არამედ აზროვნებაში, ენის ფუნქცია კი კონცეპტის აქტივაციაა“ (კუბრიაკოვა). ნებისმიერი კონცეპ-ტი, შესაძლოა, სხვადასხვაგვარად ინტერპრეტირდეს. ყველაზე შთამბეჭდა-

ვად ეს პოეზიის ენაში წარმოჩნდება, რისი დადასტურებაც გახლავთ დარიკო ფიფიას შემოქმედება. მისი ლექსების კონცეპტოსფერო იმ სიტყვათა ერთობლიობაა, რომელთა სემანტიკური მნიშვნელობა ძირითად სიყვარულს უკავშირდება. პოეტი ცდილობს, გაემიჯნოს ბოროტებას, შურს, სიძულვილს... ახსოვდეს მხოლოდ ის, რაც ლამაზია, მშვენიერი, ფაქიზი; ფიქრი მიაწვდინოს ცას ისე, რომ არ დაკარგოს მიწის შეგრძნება. ამაღლებული გრძნობები ციდან მიწაზე ჩამოიტანოს. მზე, ცა და დედამიწა პოეტის ნააზრევში ორგანულ მთლიანობაშია: ,,ვფიქრობ იმ ქვეყანაზე... სადაც შეგიძლია ... იფრინო ნაძვებს ზევით, ცასთან და მზესთან ახლო ისე, რომ არასოდეს მოსწყდე მიწას“ (ფიფია, 2020: 17);

მზე „თეთრი ბუმბულივით მსუბუქია“ მაშინ, როცა სიყვარული წრფელია და ნამდვილი, მაგრამ „დიდია და მძიმე“, როცა ადამიანი სიყვარულის ნიჭს მოკლებულია: „... მზე იყო დიდი და (მასაც) ტარება აღარ შეეძლო“, არ იცოდა, რომ „მძიმე ქვები, რომელიც ეჭირა ხელში“, უნდა მოეხატა...

„მერე *მზეზე* უნდა გაათბო,
მზის სხივები ალაგ ჩააწნა,
მზის სურნელით დათვრე დილამდე“ (ფიფია, 2020: 25);

და ჩაანაცვლო სიძულვილს სიყვარული, ბოროტებას-სიკეთე!

პოეტის სულის ძახილიც ესაა: *„ვერცხლის მდინარეს გაატანეთ ქურქები ზღარბის და მზის ოლარი მოიგდეთ მხარზე!“*

გამოყენებული ლიტერატურა:

ბარბაქაძე (2014). ცირა ბარბაქაძე. ოცნების რაობა, ინტერნეტგაზეთი mastsavlebeli.ge. 7.07.2014. http://mastsavlebeli.ge/?p=4032%202009

ომიაძე (2006). სალომე ომიაძე. ქართული დისკურსის ლინგვოკულტურულ შემადგენელთა სტრუქტურა-სემანტიკა და ფუნქციონირება. თბილისი;

ფიფია (2020). დარიკო ფიფია. ორი მზე. თბილისი;

ქეგლ (1950-1964) ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, თბილისი;

ჯორბენაძე (1999). ბესარიონ ჯორბენაძე. პოეზიის ენა. თბილისი;

კუბრიაკოვა (1995). Е. С. Кубрякова. Эволюция лингвистических идей во второй половине XX в-Язык и наука конца 20 в. Москва;